16/02/2026

MES 6 26 0000166172

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ეკატერინე წიფურია - სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №51 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;

თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის,, თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ნინო ბერიკაშვილი - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ,,არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის“ ქვეპროგრამის მენეჯერი, საბჭოს მდივანი;

პეტრე ბაბილუა - შპს - „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;

დავით მალაზონია- შპს - „თანამედროვე განათლების აკადემია - სკოლა და ბაღის“დირექტორი, საბჭოს წევრი;

მანანა თურქაძე - შპს ,,ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში“ დირექტორთა საბჭოს წევრი და მთავარი მრჩეველი განათლების საკითხებში, საბჭოს წევრი;

ნონა ჩუბინიძე - სსიპ - ქალაქ ქუთაისის №14 საჯარო სკოლის დირექტორი;

დავით კახნიაშვილი - შპს - „თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის“ დირექტორი, ა(ა)იპ - „არასამთავრობო (კერძო) სასწავლებლების ასოციაციის“ თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;

ეკატერინე გურგენაშვილი - სსიპ - მერაბ კოსტავას სახელობის ქალაქ თელავის №4 საჯარო სკოლის მასწავლებელი, 2024 წლის მასწავლებლის ეროვნული პრემიის გამარჯვებული, საბჭოს წევრი;

ირმა ამირანაშვილი - შპს - ,,ქორალის“ ხარისხის მართვის მენეჯერი, საბჭოს წევრი;

კახაბერ ჩაკვეტაძე - სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;

თეა სვიმონიშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისის №12 საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;

ქეთევან ნატროშვილი - შპს - ,,ქართული სასწავლებელი - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნია გრიგალაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ქეთი მუთიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლა:
მილედი ჩინჩალაძე - სკოლის დირექტორი

სსიპ - ქრისტინე ხარშილაძის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის N1 საჯარო სკოლა:
ბეგლარი არჯევანიძე - სკოლის დირექტორი

სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხის საჯარო სკოლა:
ნინო ზედგენიძე - სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

სსიპ - ქალაქ თბილისის N28 საჯარო სკოლა:
ქეთევან დავლიანიძე - სკოლის დირექტორი

სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საზანოს N3 საჯარო სკოლა:
ხათუნა კაპანაძე - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლა:
ა) ლიკა გიორგაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) კახაბერ ფარცვანია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქრისტინე ხარშილაძის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის N1 საჯარო სკოლა:
ა) ლიანა კობესაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თეა ელერდაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხის საჯარო სკოლა:
ა) ზვიად ბერიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნატალია ბეიტრიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ თბილისის N28 საჯარო სკოლა:
ა)ნატო ოგანეზოვი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);

ბ) ირმა ხმელიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საზანოს N3 საჯარო სკოლა:
ა) დავით ლიპარტელიანი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) დალი თურმანიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია. საბჭოს სხდომა 2026 წლის 02 თებერვალს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 14:30 საათზე.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დებულების მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2.სსიპ - ქრისტინე ხარშილაძის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის N1 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3.სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხის საჯარო სკოლაში განხორცილებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4.სსიპ - ქალაქ თბილისის N28 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5.სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საზანოს N3 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.
ცენტრის წარმომადგენელმა, საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, ადმინისტრაციული წარმოების ვადების გათვალისწინებით, საბჭოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულიყო 2026 წლის 02 თებერვალი.
საბჭომ გაიზიარა აღნიშნული შუამდგომლობა.

1. სსიპ -ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლაში

განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლიკა გიორგაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 25 და 26 ნოემბერს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 22 ნოემბრის N1593930 გადაწყვეტილების თანახმად, დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 60 მოსწავლით, ხოლო ვიზიტის დროს აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა იყო 11.

ექსპერტმა, ლიკა გიორგაძემ, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტების შეფასება. მისი თქმით, აღნიშნული სტანდარტები შეფასდა, როგორც „არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიმართა დაფიქსირდა ხარვეზები, კერძოდ: სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით, სკოლის სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებს სამეურვეო საბჭოს ნაცვლად ამტკიცებდა სკოლის დირექტორი; ასევე, შეუსაბამობა დაფიქსირდა სკოლის სტრატეგიული გეგმით და სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ ამოცანებს შორის; მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია არ მოიცავდა ინფორმაციას მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების შესახებ. ექსპერტის თქმით, შეუსაბამობა დაფიქსირდა სკოლაში დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ დებულებასა და სკოლის საშტატო განრიგს შორის, ასევე, სკოლას არ ჰქონდა გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული პერსონალის პროფესიული განვითარების გეგმა და შესაბამისად, არ იყო წარმოდგენილი განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა არ ხორციელდებოდა ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად, სკოლას, ასევე, არ ჰქონდა აღწერილი საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები, სკოლის ვებ-გვერდზე არ იყო განთავსებული ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურების და განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის შესახებ, ასევე არ იკითხებოდა ვებ-გვერდზე განთავსებული ფინანსური მდგრადობის ანგარიში და დაწესებულებაში არ იყო განხორციელებული/დაგეგმილი აქტივობები კარიერული და პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით.

ექსპერტის, ლიკა გიორგაძის განცხადებით, სკოლის მიმართ გაიცა რჩევები, რომლებიც დეტალურად აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. მან ისაუბრა ავტორიზაციის

პროცესში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსზე და აღნიშნა, რომ სკოლამ შეასრულა ყველა რეკომენდაცია, გარდა ხარისხის ჯგუფის დებულების და ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტის შექმნის და კარიერული და პროფესიული ორიენტაციის ხელმისაწვდომობის მიმართულებით აქტივობების დაგეგმვისა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს მდივანი, ნინო ბერიკაშვილი, დაინტერესდა, როგორ დაადგინა სკოლამ მასწავლებლებისთვის ტრენინგის საჭიროება.
სკოლის დირექტორმა, მილედი ჩინჩალაძემ, აღნიშნა, რომ ტრენინგის ჩატარების ინიციატივა თავად მასწავლებლებისგან გამოთქვეს. ამასთან, აღნიშნა, რომ სკოლამ არ შეავსო შესაბამისობის გეგმა, ვინაიდან ექსპერტების მიერ მოთხოვნილი ყველა დოკუმენტი სკოლამ სრულად გადააგზავნა.
საბჭოს წევრი, ეკატერინე გურგენაშვილი, დაინტერესდა, შეიმუშავა თუ არა სკოლამ ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი, ასევე, დაიგეგმა თუ არა სკოლაში პროფესიული ორიენტაციის ხელისშემწყობი აქტივობები.
სკოლის დირექტორის თქმით, დასკვნის პროექტში არსებული ყველა რეკომენდაცია სკოლას გათვალისწინებული ჰქონდა. რაც შეეხება პროფესიულ ორიენტაციას, მან აღნიშნა, რომ გაფორმებული ჰქონდათ მემორანდუმი ბიზნესისა და ტექნოლოგიების კოლეჯთან.
საბჭოს წევრი, კახაბერ ჩაკვეტაძე, დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა სკოლას მასწავლებელთა სავალდებულო ცნობები.
სკოლის დირექტორის თქმით, ყველა დასაქმებულ მასწავლებელს ჰქონდა საჭირო ცნობები, რომლებიც წარმოდგენილი იყო სკოლის მიერ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას.
ექსპერტმა, ლიკა გიორგაძემ, აღნიშნა, რომ ცნობებთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაცია ტექნიკურ ხარვეზს წარმოადგენდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 14:40
დასრულების დრო: 14:45

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და

ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის (ს/კ: 215606609) მონიტორინგთან დაკავშირებით.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 02 თებერვალი.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:
2026 წლის მაისში საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად განხორციელების, საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების აღწერის და კარიერული და პროფესიული ორიენტაციის ხელმისაწვდომობის კუთხით აქტივობების დაგეგმვის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

2. სსიპ - ქრისტინე ხარშილაძის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის N1 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 04 და 05 დეკემბერს. ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 05 დეკემბრის N1650749 გადაწყვეტილების თანახმად, დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 300 მოსწავლით, ხოლო ვიზიტის დროს აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა იყო 117. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულება საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებდა ორ შენობაში, სხვადასხვა მისამართზე.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილებაზე და აღნიშნა, რომ სკოლის გამორჩეულ პრაქტიკას წარმოადგენდა სასკოლო ქსელში ჩართულობა, რომელიც აერთიანებდა კორბოულის N1 და N2, ნიგვზარის, სისვაძეების, შომახეთის, ლიჩისა და ჭალვანის სკოლებს.
ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტების

შეფასება. მისი თქმით 1-ელი და მე-4 სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 სტანდარტი შეფასდა „მეტწილად“.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც დეტალურად აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. მან ისაუბრა ავტორიზაციის პროცესში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსზე და აღნიშნა, რომ სკოლამ შეასრულა ყველა რეკომენდაცია, გარდა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შსს-ის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებისა და პანდუსის მოწყობისა.
ექსპერტის თქმით, სკოლამ წარმოადგინა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, რომელმაც შეისწავლა შენობის ტექნიკური მდგომარეობა და გასცა დასკვნა, რომლის თანახმადაც "ექსპერტიზაზე წარმოდგენილი საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულში N35.12.49.004 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული სსიპ - ქრისტინე ხარშილაძის სახელობის კორბოულის N1 საჯარო სკოლის შენობის ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობა შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად". ექსპერტის თქმით, აღნიშნულ დასკვნაში ფიქსირდეობოდა შეუსაბამობა სკოლის დასახელებასა და საკადასტრო კოდს შორის. დასკვნაში წარმოდგენილი საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებულია სხვა სკოლა, თუმცა სკოლის შენობის აღწერილობა შეეესაბამებოდა კორბოულის N1 საჯარო სკოლის ძირითადი შენობის აღწერილობას და დასკვნაში მითითებული იყო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის სახელი და გვარი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს მდივანი, ნინო ბერიკაშვილი, დაინტერესდა, რა ნაბიჯები ჰქონდა გადადგმული სკოლას ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის მოწყობისთვის და ასევე, ჰქონდა თუ არა სკოლას გარე სპორტული მოედანი.
სკოლის დირექტორმა, ბეგლარ არჯევანიძემ, აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა ღია სპორტული მოედანი. ვიდეო-სამეთვალყურეო კამერებთან დაკავშირებით კი, განმარტა, რომ სკოლას ჰქონდა შესაბამისი რესურსი, თუმცა მისი ინფორმაციით, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო გეგმავდა შენობის ვიდეო-კამერებით აღჭურვას და არამიზნობრივი ხარჯის თავიდან ასარიდებლად ელოდებოდნენ სამინისტროს ქმედით ნაბიჯებს. მან ასევე აღნიშნა, რომ სკოლას უკვე შეთანხმებული ჰქონდა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.
საბჭოს წევრი, კახაბერ ჩაკვეტაძე, დაინტერესდა, რა მდგომარეობა იყო 4.2 (მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები) კომპონენტთან მიმართებით.
სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მასწავლებლებთან ჩატარდა შეხვედრები და ისინი გადიოდნენ ინტენსიურ ტრენინგებს. დირექტორის განმარტებით, სკოლა ეტაპობრივად გაითვალისწინებდა დასკვნაში ასახულ ყველა რეკომენდაციას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქრისტინე ხარშილაძის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის N1 საჯარო სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 15:01
დასრულების დრო: 15:04

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ქრისტინე ხარშილაძის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის N1 საჯარო სკოლის (ს/კ: 239404079) მონიტორინგთან დაკავშირებით.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 02 თებერვალი.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:
2026 წლის დეკემბერში, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შესაბამის უწყებასთან შეთანხმების, საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის მე-4 ქუჩა N42;44-ში მდებარე შენობაზე მოპოვებულ ექსპლუატაციის უსაფრთხოების დასკვნაში მითითებული სკოლის დასახელებისა და მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის შესაბამისობაში მოყვანის, დასაქმებულთა შეფასების, შედეგებზე დაყრდნობით პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირების, გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად პერსონალის განვითარების გეგმის შედგენის და განხორციელების მტკიცებულებების, საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის 51-ე ქუჩა N5 მისამართზე არსებულ შენობაში ექიმის/ექთნის დასაქმების და სამედიცინო პუნქტისთვის სივრცის გამოყოფის, 2027 წლის დეკემბერში საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის 51-ე ქუჩა N5-ში მდებარე სკოლის შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, ორივე შენობის ვიდეოსამეთვალყურეო კამერებით აღჭურვის, ხოლო შესრულებისა და შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვებისთანავე, ორივე მისამართზე არსებული შენობებისთვის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანის და შენობა-ნაგებობების ადაპტირების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

3. სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს

თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ზვიად ბერიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 02 და 03 დეკემბერს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 22 ნოემბრის N1593985 გადაწყვეტილების თანახმად, დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 150 მოსწავლით, ხოლო ვიზიტის დროს აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა იყო 96.

ექსპერტმა, ზვიად ბერიძემ, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტების შეფასება. მისი თქმით 1-ელი და მე-3 სტანდარტები შეფასდა, როგორც „არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ვინაიდან კომპონენტები 1.2, 3.1, 3.4 და 3.5 შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“, ხოლო მე-4 სტანდარტი შეფასდა „შესაბამისად“.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიმართ დაფიქსირდა ხარვეზები, კერძოდ: სკოლის მეთოდოლოგიით დადგენილი წესით სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელ პირებს არ ჰქონდათ გაკეთებული ანგარიშები და არ იყო განსაზღვრული შემდგომი რეაგირების საჭიროებები; სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილ საკონკურსო კომისიაში შედიოდა ოთხი წევრი, რაც არ შეესაბამებოდა მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის (ბრძანება №174/ნ 20.08.2019) მე-5 მუხლის მე-2 პუნქტს, რომლის თანახმადაც საჯარო სკოლის შემთხვევაში კომისიის წევრთა რაოდენობა უნდა იყოს არანაკლებ ხუთი წევრისა; ამასთან, კომისიის წევრად არ იყო განსაზღვრული დამოუკიდებელი მოწვეული სპეციალისტი და მასწავლებელთა პროფესიული კავშირის წარმომადგენელი; სკოლის ყველა პედაგოგის/თანამშრომლის პირად საქმეში, არ იყო განთავსებული კანონმდებლობით მოთხოვნილი ცნობები; შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების დასკვნის თანახმად, შენობის სახურავი ამორტიზებული იყო, რის გამოც შენობაში ჩადიოდა წყალი, რაც მნიშვნელოვნად აზიანებდა შენობის კედლებს, ინფრასტრუქტურას, საფრთხეს უქმნიდა შენობის უსაფრთხო ექსპლუატაციას და ზრდიდა ფიზიკური უსაფრთხოების რისკებს, ასევე, სკოლის შენობის ძირითად შესასვლელში მოწყობილი გადახურვა იყო დეფორმირებული; სკოლას არ ჰქონდა დასკვნა/მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ და სკოლის ინფრასტრუქტურა არ იყო მორგებული სსსმ მოსწავლეთა საჭიროებებზე.

ასევე, ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რჩევები, რომლებიც დეტალურად იყო აღწერილი დასკვნაში. ექსპერტმა, ზვიად ბერიძემ, ისაუბრა ავტორიზაციის პროცესში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსზე და აღნიშნა, რომ სკოლამ შეასრულა ყველა რეკომენდაცია, გარდა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვებისა.

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებას ესაჭიროებოდა სარემონტო სამუშაოები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი, დაინტერესდა, რაიმე სიახლე ხომ არ იყო ინფრასტრუქტურული მდგომარეობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ნინო ზედგენიძემ, აღნიშნა, რომ სკოლაში სარემონტო სამუშაოები განხორციელდა 2020 წელს, თუმცა მალევე დაზიანდა სახურავი და შენობაში ჩავიდა წყალი. მისი თქმით, სკოლაში იყვნენ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები და უახლოეს მომავალში იგეგმებოდა ტენდერის გამოცხადება სარემონტო სამუშაოების განსახორციელებლად.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხის საჯარო სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 15:21
დასრულების დრო: 15:24

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხის საჯარო სკოლის (ს/კ: 222727967) მონიტორინგთან დაკავშირებით.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 02 თებერვალი.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:
2027 წლის დეკემბერში ექსპლუატაციის უსაფრთხოების დასკვნაში ასახული რეკომენდაციების გათვალისწინების, სკოლის შენობის შესასვლელში მოწყობილი გადახურვის რესტავრაციის, ლიფტის ფუნქციონირების დამადასტურებელი მტკიცებულებების, ხოლო, შესრულებისა და შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვებისთანავე, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

4. სსიპ - ქალაქ თბილისის N28 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნატო ოგანეზოვმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 04 და 05 დეკემბერს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 28 ნოემბრის N1614781 გადაწყვეტილების თანახმად, დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 180 მოსწავლით, ხოლო ვიზიტის დროს აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა იყო 131.

ექსპერტმა, ნატო ოგანეზოვმა, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტების შეფასება. მისი თქმით 1-ელი და მე-4 სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 სტანდარტი შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისად“.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც დეტალურად აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. მან ისაუბრა ავტორიზაციის პროცესში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსზე და აღნიშნა, რომ სკოლამ შეასრულა ყველა რეკომენდაცია, გარდა იდენტიფიცირებული თანამშრომლების კანონმდებლობით დადგენილი ცნობების წარმოდგენისა. აქვე, აღნიშნა, რომ ნაწილობრივ შესრულებული იყო 3.4.1.1 კომპონენტთან მიმართებით მიღებული რეკომენდაცია.

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია, დაინტერესდა, რა ვითარება იყო მასწავლებელთა ცნობების წარმოდგენასთან დაკავშირებით.

ექსპერტმა, ნატო ოგანეზოვმა, აღნიშნა, რომ ცნობები არ ჰქონდათ დასკვნის შემუშავების ეტაპზე წარმოდგენილი, თუმცა სკოლას ჰქონდა რეკომენდაციების გათვალისწინების მზაობა.

საბჭოს წევრი, დავით კახნიაშვილი, დაინტერესდა, დაზიანებულ ფლიგელში გადაადგილდებოდნენ თუ არა მოსწავლეები.

სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ მითითებულ ფლიგელში გადაადგილდებოდნენ მოსწავლეები, თუმცა არ იყო საგანგაშო მდგომარეობა და ესაჭიროებოდა გამაგრებითი სამუშაოები, რომელიც დაგეგმილი იყო უახლოეს მომავალში.

ექსპერტის, ნატო ოგანეზოვის, განმარტებით, დასკვნაში ასახული იყო რომ შენობა სეისმურ ნორმებთან იყო შეუსაბამო, თუმცა ვიზუალური დათვალიერებით არ აღენიშნებოდა ხარვეზები.

საბჭოს წევრი, ეკატერინე გურგენაშვილი, დაინტერესდა, რა გახდა მიზეზი იმისა, რომ მასწავლებლებს ცნობები არ ჰქონდათ წარმოდგენილი. სკოლის დირექტორის თქმით, მასწავლებელთა ნაწილს უკვე წარმოადგინილი ჰქონდა აღნიშნული ცნობები.
საბჭოს წევრი, ქეთევან ნატროშვილი, დაინტერესდა, ხომ არ ჰქონდა სკოლას მიღებული რეკომენდაცია, მოსწავლეების სხვა შენობაში გადასაყვანად. სკოლის დირექტორის თქმით, მსგავსი რეკომენდაცია არ მიუღიათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის N28 საჯარო სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 15:39
დასრულების დრო: 15:43

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ქალაქ თბილისის N28 საჯარო სკოლის (ს/კ: 203842495) მონიტორინგთან დაკავშირებით.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 02 თებერვალი.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:
2026 წლის აპრილში მასწავლებელთა ცნობების, 2027 წლის დეკემბერში სკოლის ტერიტორიის მეტალის კონსტრუქციის ღობით სრულად შემოღობვის, ეზოს მიმდებარე ხევისგან უსაფრთხოდ გამიჯვნის, კომპიუტერული ლაბორატორიის მოწყობის, სასწავლო შენობის პირველი ფლიგელისთვის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დადებითი დასკვნის, ხოლო შესრულებისა და შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვებისთანავე, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნისა და ადაპტირებული საპირფარეშოს მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

5. სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საზანოს N3 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, დავით ლიპარტელიანმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 27 და 28 ნოემბერს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 24 ნოემბრის N1598540 გადაწყვეტილების თანახმად, დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 211 მოსწავლით, ხოლო ვიზიტის დროს აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა იყო 104.

ექსპერტმა, დავით ლიპარტელიანმა, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტების შეფასება. მისი თქმით 1-ელი სტანდარტი შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-3 სტანდარტი შეფასდა „მეტწილად“, ვინაიდან კომპონენტი 3.4 შეფასდა „მეტწილად“, ხოლო მე-4 სტანდარტი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ვინაიდან კომპონენტი 4.2 შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიმართ დაფიქსირდა ხარვეზი, კერძოდ, ვიზიტის დროს გამოვლინდა, რომ ერთ-ერთ მოსწავლეს მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის მიხედვით განსაზღვრული ჰყავდა ასისტენტი, თუმცა სკოლას არ ჰქონდა ასისტენტის შტატი, შესაბამისად, აღნიშნული მოსწავლე ვერ იღებდა მისთვის განკუთვნილ მომსახურებას. ვიზიტის დროს, სკოლამ მოითხოვა აღნიშნული შტატის დამატება, თუმცა ვიზიტის დასრულებამდე მოსწავლის საჭიროებების დაკმაყოფილება ვერ მოხერხდა. ასევე, გაიცა რეკომენდაცია და რჩევები, რომლებიც დეტალურად აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. მან ისაუბრა ავტორიზაციის პროცესში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსზე და აღნიშნა, რომ სკოლამ შეასრულა ყველა რეკომენდაცია, გარდა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვებისა და შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის დასაქმებისა.

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო, შენობა იყო ახლადრეაბილიტირებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრი, ეკატერინე გურგენაშვილი დაინტერესდა, დაიშვა თუ არა ასისტენტის შტატი სკოლაში.
სკოლის დირექტორის თქმით, შტატი არ იყო დაშვებული და მუშაობდნენ აღნიშნული საკითხის გამოსწორებაზე.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საზანოს N3 საჯარო სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 15:57
დასრულების დრო: 16:00

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საზანოს N3 საჯარო სკოლის (ს/კ: 230078279) მონიტორინგთან დაკავშირებით.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 02 თებერვალი.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2026 წლის მაისში ასისტენტის შტატის დამატების, ხოლო შესრულებისა და შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვებისთანავე შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 16:05 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბერიკაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
წიფურია ეკატერინე